დანართი №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა

შეფასების თარიღები: 24 და 25 ნოემბერი, 2022
დასკვნის წარდგენის თარიღი: 29 დეკემბერი, 2022

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	200193673

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	დიახ
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	არა

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქ. თბილისი
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, გურამიშვილის გამზ. 79
ფაქტობრივი მისამართი	ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. 65
საფოსტო ინდექსი	0141
დაწესებულების ვებ-გვერდი	www.britannica.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	Britannica.ges@gmail.com
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	2 60 69 27
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	**თამარ მაისურაძე**
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	5 93 995191
ელ-ფოსტა	tamrikotamriko10@gmail.com

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 17 ოქტომბრის MES 9 22 0001305894 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	24 და 25 ნოემბერი, 2022
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	ქეთევან ბაცანკალაშვილი
წევრი (სახელი, გვარი)	ნინო მუმლაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐
2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐
2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)**	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)**	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)**	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	**მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)**	☒	☐
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**მუხლი 7/ პუნქტი თ)**	☒	☐
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები,	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	***საგანმანათლებლო პროგრამები***	***ხარვეზი***
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.*	.....
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.1.*	.....
	1.2.	.....
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.1.*	.....
	2.2.	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა 2006 წელს დაფუძნდა. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებულ სასწავლო პროცესს, რასაც ადასტურებს მრავალფეროვანი საგაკვეთილო და კლასგარეშე აქტივობები, პროექტული სწავლება და კლუბური მუშაობა. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობელთა სათათბირო. მაღალია მოსწავლეებისა და მათი მშობლების თანამონაწილეობა სასკოლო და საგანმანათლებლო აქტივობებში. მოსწაველთა და მშობელთა ჩართულობა დაწესებულების ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას შემუშავებული და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ინგლისური ენის გაღმავებულად სწავლების მეთოდოლოგია. აღნიშნული პროგრამის ჭრილში, მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ ინგლისური ენა შეისწავლონ სხვადასხვა ასპექტის საშუალებით (გრამატიკა, ლექსიკა, ლიტერატურა, მეცნიერებები და სხვ.), რისთვისაც სკოლა იყენებს თანამედროვე სახელმძღვანელოებსა და საავტორო მასალებს. 16-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას მოსწავლეებმა და კურსდამთავრებულებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სკოლაში მიღებული ცოდნის დახმარებით. განსაკუთრებით კი, ისინი ინგლისური ენის კვალიფიციური ცოდნით გამოირჩევიან. ამაზე მეტყველებს სკოლის მოსწავლეების ყოველწლიურად მაღალი შედეგები როგორც მისაღებ გამოცდებზე, ასევე ეროვნულ ოლიმპიადებსა და საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებზე (Cambridge Certificate Exams /TOEFL Exams/ IELTS Exams).

დაწესებულების მისია	სკოლა ,,ბრიტანიკა“ მოსწავლეებს სთავაზობს უცხოური ენების გაძლიერებულ სწავლებას სამომავლოდ კონკრეტულ გარემოში თავისუფლად ინტეგრირებისა და თვითდამკვიდრებისთვის. უსაფრთხო სასწავლო გარემო, მოსწავლეებს საშუალებას მისცემს გამოავლინონ საკუთარი ინტერესები და მიდრეკილებები, რაც უზრუნველყოფს მოაზროვნე, შემოქმედი, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეებად ჩამოყალიბებას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	მიმდინარე ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა დოკუმენტაციის შესწავლის, ვიზუალური დათვალიერებისა და ინტერვიუირებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნია, რომ 2017 წლის 23 თებერვლით დათარიღებულ დასკვნაში აღწერილი შენიშვნების უმრავლესობა გათვალისწინებული და აღმოფხვრილია დასწესებულების მიერ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კერძოდ: ქვესტანდარტი 1.1 - დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პედსაბჭოს ოქმები, ნათლად არის გაწერილი დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს უფლება-მოვალეობები სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებასა და დამტკიცებასთან დაკავშირებით. საათობრივ ბადეში კონკრეტულად არის გაწერილი არჩევითი საგნების გადანაწილება კლასების მიხედვით. შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და დაზუსტებულია შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა და აღდგენის წესი. ქვესტანდარტი 2.3 - წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულების მფლობელობაშია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები და საკითხავი ლიტერატურა, ასევე პერიოდიკა და მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 250	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას 2022 წლის 27 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (სხდომის ოქმი № 1) განხილული, ხოლო 2022 წლის 09 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (სხდომის ოქმი № 2) დამტკიცებული აქვს 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და შედგება შემდგომი ნაწილებისაგან: 1. შესავალი; 2. სკოლის მისია; 3. სკოლის ხედვა და ღირებულებები; 4. სკოლის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები; 5. ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები; 6. მისია საფეხურების მიხედვით; 7. სასწავლო პროცესის ორგანიზება; 8. სკოლის დღის რეჟიმი; 9. საათობრივი ბადე; 10. სადამრიგებლო პროგრამა; 11. საგნობრივი კათედრები; 12. დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობა; 13. საგანმანათლებლო რესურსები; 14. მოსწავლის შეფასების სისტემა; 15. ინკლუზიური განათლება. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილად წარმოდგენილია 6 დანართი. დანართებში დაზუსტებულია სასწავლო პროცესის ეფექტურად განხორციელებისათვის აუცილებელი საკითხები:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დანართი 1. სასწავლო წლის კალენდარი; დანართი 2. გაკვეთილების განრიგი; დანართი 3. საათობრივი ბადე; დანართი 4. გრიფირებული სახელმძღვანელოების და დამატებითი წიგნების ჩამონათვალი კლასების მიხედვით; დანართი 5. შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, გამოცდების განრიგი; დანართი 6. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილია სკოლის ხედვა და ღირებულებები. სკოლა საგანამანთლებლო საქმიანობას წარმართავს შემდეგ პრიორიტეტებზე დაყრდნობით: ობიექტურობა, გამჭირვალობა, მიუკერძოებლობა, თანამშრომლობა და ზრუნვა მუდმივ განვითარებაზე. დაწესებულებას თავისი შეხედულებისამებრ შემუშავებული აქვს საათობრივი ბადე ეროვნული სასწავლო გეგმის N56 მუხლში განსაზღვრული III მოდელის შესაბამისად. საათობრივი ბადე, რომელიც აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნებისა და სკოლის მიერ დამატებით შეთავაზებული მომსახურების საათობრივ დატვირთვას თითოეულ კლასში, შეთანხმებულია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი სამინისტროს თანხმობის შესახებ No MES 0222 0001106096; 19/09/2022). სასკოლო სასწავლო გეგმასა და საათობრივ ბადეში, ეროვნული სასწავლო გეგემით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების საათობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით დეტალურად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღწერილი სკოლის მიერ რიგ საგნებში საათობრივი ზრდისა თუ შემცირების საკითხი. კერძოდ: • III-IV კლასებში საგანი მე და საზოგადოება ისწავლება I-II სემესტრში 1 საათი; • X კლასში ისტორიის სწავლება ორგანიზებულია შემდეგნაირად: სულ ისტორიას ეთმობა 3 სთ; აქედან 2 სთ განკუთვნილია საქართველოს ისტორიის სწავლებისთვის. • VII კლასში მოქალაქეობა ისწავლება 1-2 სემესტრში 1 საათი. IX კლასში მოქალაქეობა ისწავლება 1-2 სემესტრში 1 საათი. • X კლასში მოქალაქეობა ისწავლება 1-2 სემესტრში 2 საათი, აქედან ერთი საათი განკუთვნილია პროექტული სწავლებისთვის; • ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ისწავლება I- II - III-IV კლასებში 1 სთ; V-VI კლასებში 2 სთ; ხოლო, VII-IX კლასებში-1 სთ; • XI კლასში საგზაო ნიშნები და მოძრაობის უსაფრთხოება ისწავლება 2 სემესტრში კვირაში 1 საათი. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, არჩევითი საგნის სახით X კლასში ისწავლება მსოფლიო კულტურა კვირაში 1 სთ; XI კლასში- XIX-XX სს. დასავლეთის ლიტერატურა კვირაში 1 სთ; XII კლასში - ეთნოგრაფია - I სემესტრში 1 საათი. დაწესებულება მოსწავლეებს პირველი უცხოური ენის (ინგლისური ენის) გარდა, სთავაზობს რუსულ ენას მესამე კლასიდან და იაპონურ ენას მეშვიდე კლასიდან. X კლასში ასევე შეთავაზებულია პროექტული სწავლება სამოქალაქო განათლებაში და სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მოსწავლეთა ინტერესებზე დაყრდნობით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების პაკეტი. ყველა ასეთ საგანთან მიმართებით, სკოლამ წარმოადგინა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საგნის სწავლების მიზნები და ის, თუ რა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების შეძენას ითვალისწინებს ეს კურსი. ● I-IV კლასებში ისწავლება საგანი ქართული ცეკვები, I კლასში კვირაში 2 საათი; II-IV კლასებში კვირაში 1 საათი; ● I-IV კლასებში ისწავლება საგანი სახალისო მათემატიკა, კვირაში 1 საათი; ● I-IV კლასებში ისწავლება საგანი მხატვრული კითხვა, I კლასში კვირაში 2 საათი; II-IV კლასებში კვირაში 1 საათი; ● I-IV კლასებში ისწავლება საგანი წერა, კვირაში 1 საათი; ● I-IV კლასებში ტარდება ბიბლიოთეკის საათი, კვირაში 1 საათი; ● V-VI კლასებში ისწავლება საგანი სპორტული ცეკვები, კვირაში 2 საათი; ● I-IV კლასებში კვირაში 1 საათი დათმობილი აქვს ფსიქოლოგის საათს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას, ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებას და სოციალურ ადაპტაციას. ● I-IV კლასებში, I სემესტრში, კვირაში 1 საათი ისწავლება საგანი „თემატური გაკვეთილები“. „თემატური გაკვეთილები“ ეხმარება მოსწავლეებს გარემომცველი სამყაროს უკეთ შეცნობაში. ● I-VIII კლასებში, კვირაში 1 საათი ისწავლება საგანი რელიგიის ისტორია. ● VII და IX კლასებში საგანი მეცნიერება ისწავლება ინგლისურ ენაზე, კვირაში 1 სთ. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინგლისური ენის გაძლიერებულად სწავლების დოკუმენტი, რომელშიც საინტერესოდ არის აღწერილი ინგლისური ენის ასპექტებით სწავლების კონცეფცია, დაკონკრეტებულია რესურსების (მათ შორის საავტორო მასალების) ჩამონათვალი და საგნობრივი პროგრამები. ინგლისური ენის გაღრმავებულად სწავლების ფარგლებში, დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობს შემდგომ ასპექტებს / საგნებს:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ძირითადი სახელმძღვანელო - I-XII კლასებში; • გრამატიკა - II-XII კლასებში; • ლექსიკა - III-XII კლასებში; • ლიტერატურა - II-XII კლასებში; • აკადემიური წერა / აუდირება - V-XII კლასებში; • ქვეყანათმცოდნეობა - XI-XII კლასებში; • Science (მეცნიერება) – VII და IX კლასებში. ინგლისური ენის სწავლების საფუძვლები შეთანხმებულია განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან (No MES 1 22 0000841531; 26/07/2022).
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. პედაგოგიური საბჭოს ოქმები (N1; N2); 3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი საათობრივი ბადის შეთანხმების თაობაზე - No MES 0222 0001106096; 19/09/2022; 4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წერილი ინგლისური ენის ეროვნული სასწავლო გეგმისგან განსხვავებული სქემით სწავლების ნებართვასთან დაკავშირებით - No MES 1 22 0000841531; 26/07/2022; 5. კათედრის ხელმძღვანელებთან და წევრებთან გასაუბრება. 6. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესი ეფუძნება სწავლების კონსტრუქტივისტულ მეთოდს და ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს ზოგადი განათლების სამივე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	საფეხური; ვიზიტის განმავლობაში, სკოლაში ირიცხებოდა 245 მოსწავლე. სკოლის ადმინისტრაცის წევრებთან, პედაგოგებსა და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლა სისტემატიურად შეისწავლის მოსწავლეთა მოთხოვნებსა და ინტერესებს; ასევე, აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან და ითვლისწინებს მათ მოსაზრებებსა და შემოთავაზებებს. ყოველივე ზემოხსენებულის საფუძველზე, დაწესებულება სასწავლო წლის დასაწყისში შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, რომელიც მოიცავს როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა საგნის სწავლებას, ასევე დამატებითი მომსახურებისა და კლასგარეშე ღონისძიებების მრავალფეროვან ჩამონათვალს. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგნების სტანდართან შესაბამისობაში სწავლების მიზნით, დაწესებულებაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა • მათემატიკის და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კათედრა • უცხური ენების კათედრა • საზოგადოებრივ მეცნიერებების კათედრა • საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა • ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა • დაწყებითი განათლების კათედრა. კათედრის პორტფოლიოებში, რომლებიც ელექტრონულ სივრცეშია განთავსებული, ინახება კათედრის დებულება და სამოქმედო გეგმა, კათედრის საქმიანობის სემესტრული და წლიური ანგარიშები, მასწავლებელთა სამოქმედო გეგმები, თემატური გეგმები, კათედრის ოქმები, შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, კათედრის გამგის მიერ კათედრის წევრთა შეფასების ფორმები, და კათედრის ხელმძღვანელის შეფასების კითხვარები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დაწესებულებაში დაწყებულია თემატური გეგმების მორგება ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებთან და კომპლექსური დავალებების განხორციელება. სკოლამ წარმოადგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში 2022 წლის 29 აგვისტოს გაგზავნილი წერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის "ახალი სკოლის მოდელში" ჩართვასთან დაკავშირებით. **სკოლის დირექციას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილოს ყურადღება სამიზნე ცნებებსა და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე თემატური გეგმების შედგენის დროს. ასევე, სასწავლო თემის შეჯამების მიზნით, ყველა საფეხურსა და საგანში დაგეგმოს კომპლექსური დავალება.** დაწესებულებაში მიმდინარეობს პროექტებსა და პრაქტიკულ აქტივობებზე დაფუძნებული სწავლება. სკოლის პედაგოგები ახორციელებენ საინტერესო გაკვეთილებსა და ღონისძიებებს როგორც ერთი კონკრეტული კათედრის ჭრილში, ასევე ინტერდისციპლინური მიმართულებით. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს დასახელდა რამდენიმე პროექტი, რომელიც სხვადასხვა კათედრის თანამშრომლობით განხორციელდა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა მათემატიკისა და ქართული ენის ინტეგრირებულმა აქტივობამ სახელწოდებით "სტატისტიკის ელემენტები და წინადადების სიგრძე ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში", რომლის ფარგლებშიც მოსწავლეებმა ჩაატარეს სტატისტიკური კვლევა მათთვის სასურველი ნაწარმოებების წაკითხვადობის შესწავლის მიზნით. მოსწავლეებმა შეადგინეს შესაბამისი წინადადებების, სივრცეთა, სიგრძეთა, სიხშირეების და ფარდობითი სიხშირეების ცხრილები და დიაგრამები. X კლასში, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პროექტის ფარგლებში, ხორციელდება „საქართველოს კუთხეების კულტურული მემკვიდრეობის კვლევა და პოპულარიზაცია", რომელიც მოიცავს: კულტურული ძეგლების კვლევას, მონახულებას, ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას, პრეზენტაციას, ბუკლეტის, ფლაერების შექმნას ორ ენაზე, და გამოფენის მოწყობას. აღნიშნულ პროექტში ჩართულია ოთხი კათედრა: ქართული ენისა და ლიტერატურის, უცხური ენების, საზოგადოებრივ მეცნიერებების, და ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის კათედრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლაში, მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით, მეორე წელია ფუნქციონირებს "სასკოლო სახელოსნო", რომლის მთავარი მიზანია მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლება. დირექტორის მოადგილის (რომელიც ასევე გეოგრაფიის პედაგოგია) და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ხელშეწყობით, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს სკოლის დერეფნის კედლების გასაახლებლად მოეხატათ ის სასკოლო დაფები, რომლებსაც აღარ იყენებდნენ საგაკვეთილო პროცესის დროს. შედეგად, შეიქმნა რამდენიმე საინტერესო ნამუშევარი, რომელიც გამოფენილია სკოლის დერეფანში და ასახავს სხვადასხვა საგნის ჭრილში განვლილ საკითხებს და თემატიკას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოსწავლეთა ინტერვიუირების დასაორგანიზებლად, სკოლის დირექტორთან ერთად ექსპერტებს შეხვდა მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, ჩაინიშნა დრო, მოსწავლეთა სავარაუდო რაოდენობა, ასაკი და სწორედ მან დაგეგმა გაკვეთილების შემდგომ გასაუბრება სკოლის საბიბლიოთეკო სივრცეში. სკოლის აღსაზრდელებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ თვითმმართველობისა და დირექტორის მოადგილის თანამშრომლობით, სკოლაში ჩამოყალიბებულია მოგზაურთა კლუბი "მხიარული მგზავრები" და მკითხველთა კლუბი "მწიგნობარი." წარმოდგენილია როგორც თვითმმართველობის, ასევე აღნიშნული კლუბების მუშაობის დებულებები. არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში ჩართულობის გაზრდის, სასწავლო პროცესის სტიმულირებისა და მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით, დაწესებულებაში ტარდება სასკოლო სასწავლო ოლიმპიადები, ინგლისურ, რუსულ ენებსა და მათემატიკაში. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში დაკმაყოფილებულია სხვადასხვა ასაკობრივი მოსწავლის საჭიროებები; ხოლო დაწესებულების სასწავლო გეგმა ხელს უწყობს მოსწავლეებს, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. კათედრების ელექტრონული პორტფოლიოები; 3. მასწავლებლების საქაღალდეები; 4. სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის პორტფოლიოები; 5. 2022 წლის 29 აგვისტოს სკოლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის გაგზავნილი წერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის "ახალი სკოლის მოდელში" ჩართვასთან დაკავშირებით; 6. მოგზაურთა კლუბის დებულება; 7. მკითხველთა კლუბის დებულება; 8. სასკოლო ოლიმპიადის დებულება; 9. თვითმმართველობის დებულებება; 10. კათედრის ხელმძღვანელებთან და წევრებთან გასაუბრება; 11. მოსწავლეებთან გასაუბრება; 12. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში ამჟამად არ ირიცხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე, თუმცა სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების დებულება, რომელიც მოიცავს ინკლუზიური განათლების მართვის პრინციპებს, სსსმ მოსწავლის შეფასების წესს, ჩართული პირების ვალდებულებებს (სკოლის დირექტორი, კოორდინატორი, კლასის დამრიგებელი, მშობელი, ფსიქოლოგი) და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუშს. სასკოლო სასწავლო გეგმაში თვალსაჩინო პრიორიტეტებად არის გამოკვეთილი სწავლა-სწავლების პროცესში თანასწორუფლებიანობის დაცვა, თითოეული მოსწავლის მოტივაცია და შინაგანი ძალების გააქტიურება. მოსწავლეებთან გასაუბრებით, სადამრიგებლო პროგრამების და მასწავლებლების მიერ განხორციელებული,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეზე ორიენტირებული დავალებების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა მოსწავლეებს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა; 3. სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის პორტფოლიოები; 4. სკოლის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება; 5. მოსწავლეებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას სასკოლო-სასწავლო გეგმაში გაწერილია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები. სკოლის შეფასების სისტემაში დაკონკრეტებულია რომელ საგნებში იწერება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება; ასევე დაზუსტებულია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული და გაუთვალისწინებელი დისციპლინები, რომლებშიც იწერება "ჩათვლა". შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი ნიშნის გამოანგარიშების წესი, შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა, სადიაგნოსტიკო წერები საგნებისა და სემესტრების მიხედვით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კი - წლიური გამოცდები კლასებისა და საგნების მიხედვით. კათედრებისა და მასწავლებლების პროტფოლიოებში წარმოდგენილია სხვადასხვა დავალების შეფასების კრიტერიუმები. დაწესებულებაში განსხვავებული სქემით ისწავლება და ფასდება ინგლისური ენა. როგორც საგანმანთლებლო პროგრამების 1.1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ქვესტანდარტშია აღნიშული, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, თუმცა მეთოდოლოგიის დოკუმენტში არ არის დეტალურად აღწერილი საგნის შეფასების სქემა. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან ინგლისური ენის სწავლება მიმდინარეობს 4 ასპექტის მიხედვით (ძირითადი სახელმძღვანელო; ლიტერატურა; ლექსიკა; გრამატიკა), მიმდინარე ნიშნებიც 4 სხვადასხვა ასპექტში იწერება, თუმცა მათზე დაყრდნობით სემესტრულად და, შესაბამისად, წლიურადაც გამოიანგარიშება ერთი საბოლოო ქულა ინგლისურ ენაში. **ვინაიდან კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რჩევა, შეეთანხმებინათ ინგლისური ენის შეფასების სისტემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის მიმდინარეობისას, 2022 წლის 25 ნოემბერს, სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნა N 4-02/23 წერილი, შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას დირექციისა და უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის შეთანხმების მიზნით.** **შენიშვნა:** არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება აღნიშნავს, რომ ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამით განსაზღვრულ შეფასებაზე საპასუხო წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ჯერ-ჯერობით არ მიუღია, თუმცა სამინისტროს ჰქონდა სკოლასთან კომუნიკაცია გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. კათედრებისა და მასწავლებლების პორტფოლიოები; 3. სკოლის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება; 4. დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლების საფუძვლების შესახებ; 5. სკოლის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი წერილი N 4-02/23.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის მთავარი მიზანია მშობლებსა და მასწავლებლებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობა; მშობელთა დროული ინფორმირება სკოლის მიზნების, დაგეგმილი ღონისძიებების, დისციპლინური ნორმების, შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე; მშობლების დროული ინფორმირება მოსწავლის აკადემიურ მოსწრებასა და სოციალურ, ემოციურ თუ ინტელექტუალურ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებების თაობაზე. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სკოლის დირექციის მშობელთან ურთიერთობა, ინფორმაციის მიწოდების საშუალებები და ელექტრონული ჟურნალით სარგებლობა. სკოლის დირექციის მშობლებთან ურთიერთობა წესრიგდება სამი მეთოდის გამოყენებით: ელექტრონული ჟურნალის, წერილობით ან წინასწარ დანიშნული შეხვედრის მეშვეობით. მშობელი ვალდებულია წინასწარ შეუთანხმდეს სკოლის დირექციას მისთვის სასურველი შეხვედრის დანიშვნის შესახებ. მოსწავლის ყოფაქცევის, მისი სასწავლო პროგრამის დაძლევისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება ყოველდღიურად ელექტრონული ჟურნალის Schoolbook-ის საშუალებით; ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით მშობელს შესაძლებლობა აქვს მუდმივი კავშირი ჰქონდეს მასწავლებლებთან, დაუსვას შეკითხვები და მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის შესახებ. სკოლის ერთ-ერთი ძლიერი მხარეა მშობელთა ჩართულობის წახალისება სასკოლო ცხოვრებაში. ამ მიზნით, ჩამოყალიბებულია მშობელთა სათათბირო, რომელიც დაკომპლექტებულია თითოეული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კლასის ფარგლებში არჩეული წარმომადგენლებისგან და ჰყავს თავმჯდომარე. შემუშავებულია მშობელთა სათათბიროს დებულება და სხდომის ოქმები. მშობლებთან ინტერვიუირების დროს, ექსპერტებს მიეცათ შესაძლებლობა გასაუბრებოდნენ მშობელთა სათათბიროს წევრებსა და თავმჯდომარეს. **მშობელთა ასეთი ჩართულობა მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში და საგანმანთლებლო საქმიანობაში, შესაძლებელია ჩაითვალოს დაწესებულების ერთ-ერთ საუკთესო პრაქტიკად.** მშობლებთან ურთიერთობისას, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კლასის დამრიგებლები. სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი სადამრიგებლო დებულება და დამრიგებლის ფუნქცია-მოვალეობები აზუსტებს დამრიგებელსა და მშობელს შორის კომუნიკაციის ფორმებს და სიხშირეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; 2. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას მშობლებთან ურთიერთობის დებულება; 3. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას შინაგანაწესი; 4. დამრიგებლების პორტფოლიოები; 5. მშობლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკაში შემუშავებულია სწავლა-სწავლების ხარისხისა და შიდა სასკოლო მონიტორინგის დებულება, რომელიც არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგის, შეფასებისა და გადახედვის პროცესს. აღიშნული დებულების მიხედვით, დაწესებულება სასწავლო გარემოს მონიტორინგს ახორციელებს შემდგომი მიმართულებებით: ადმინისტრაციის შეფასება; მასწავლებლების შეფასება; მოსწავლეების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება; სასწავლო პროცესის შეფასება; სასწავლო გარემოს შეფასება; თვითშეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების პროცესში ჩართულია მთელი სასკოლო საზოგადოება: სკოლის ხელმძღვანელობა, საგნობრივი კათედრები, კლასის დამრიგებლები, მოსწავლეები, მშობლები. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასების განსახორციელებლად და სასწავლო გარემოს შესაფასებლად, დაწესებულებაში შემუშავებულია კითხვარები მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის. წარმოდგენლია მშობელთა გამოკითხვის ინსტრუმენტები, კათედრის ხელმძღვანელებისა და წევრების თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ფორმები, საგაკვეთილო პროცესზე დასწრების ფორმები, რეფლექსიები და უკუკავშირები, დამრიგებლის საქმიანობის შეფასებისა და დამრიგებლის მიერ სადამრიგებლო კლასში გაკვეთილზე დასწრების ფორმები. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას წარმოდგენილი აქვს 2021-2022 წლის სასკოლო გეგმის შეფასების ანგარიში, რომელშიც გაწერილია შესაფასებელი საკითხები, მათი განხორციელების / განუხორციელებლობის შესახებ ინფორმაცია, ხელისშემშლელი მიზეზები და პრობლემის გადაჭრის გზები / რეკომენდაციები / გაუმჯობესების მექანიზმები. სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების პროცედურებს გეგმავს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორი. ჯგუფი შედგება სკოლის დირექტორის, ხარისხის მართვის მენეჯერისა და ყველა კათედრის თავმჯდომარისაგან. ჯგუფი შეიმუშავებს შეფასებისა და დაკვირვების ფორმებს; აფასებს თემატურ და სასწავლო გეგმებს; ამუშავებს პედაგოგთა შეფასების სტრატეგიებს; შეიმუშავებს კითხვარებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლებისათვის; შედეგებიდან გამომდინარე სთავაზობს სკოლის დირექციას მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის რეკომენდაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას სწავლა-სწავლების ხარისხისა და შიდა სასკოლო მონიტორინგის დებულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფის დებულება; 3. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება; 4. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას შინაგანაწესი; 5. კათდრების პორტფოლიოები; 6. კითხვარები და კვლევის ინსტრუმენტები; 7. დაწესებულების წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	**ქვესტანდარტი 1.2** **სკოლის დირექციას მიეცა რჩევა, მეტად გაამახვილოს ყურადღება სამიზნე ცნებებსა და შესაბამის მკვიდრ წარმოდგენებზე თემატური გეგმების შედგენის დროს. ასევე, სასწავლო თემის შეჯამების მიზნით, ყველა საფეხურსა და საგანში დაგეგმოს კომპლექსური დავალება.** **ქვესტანდარტი 1.3** **ვინაიდან კერძო სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ნებისმიერი საგანი შესაძლებელია ისწავლებოდეს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილისაგან განსხვავებული სქემით, ექსპერტებმა დაწესებულებას მისცეს რჩევა, შეეთანხმებინათ ინგლისური ენის შეფასების სისტემა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.** **ვიზიტის მიმდინარეობისას, 2022 წლის 25 ნოემბერს, სკოლამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნა N 4-02/23 წერილი, შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას დირექციისა და უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემის შეთანხმების მიზნით.** **შენიშვნა:** არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულება აღნიშნავს, რომ ინგლისური ენის გაძლიერებული პროგრამით განსაზღვრულ შეფასებაზე საპასუხო წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამინისტროსგან ჯერ-ჯერობით არ მიუღია, თუმცა სამინისტროს ჰქონდა სკოლასთან კომუნიკაცია გარკვეული საკითხების დაზუსტების მიზნით.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკა, საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით, მდებარეობს ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N65-ში. შენობა-ნაგებობის მესაკუთრეა როლანდი ჯავახია. შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას მეიჯარე როლანდი ჯავახიასთან 2017 წლის 26 იანვარს გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის 1 თებერვალს ექვსი წლის ვადით. 2022 წლის 22 აგვისტოს შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას დირექტორს თამარ მაისურაძეს, აღნიშნულ პიროვნებასთან დადებული აქვს შეთანხმება იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე მოხდება ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N 65-ში მდებარე 398 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა (ს/კ N 01.12.06.018) და მასზე არსებული 873 კვ.მ. შენობა-ნაგებობის მოიჯარისათვის „ახალი (გაგრძელებული)“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ვადით სარგებლობაში გადაცემა, თუმცა, დროის პერიოდი დაკონკრეტებული არ არის. მიუხედავად იმისა, რომ იჯარის ხელშეკრულების 21-ე მუხლში ჩადებულია უძრავი ქონების განუსაზღვრელი ვადით სარგებლობის პირობა (იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე სარგებლობს იჯარის საგნით იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ და მეიჯარე არ მოითხოვს იჯარის შეწყვეტას), **ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რჩევა, მეტი სიცხადისთვის, იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმებაში დაკონკრეტდეს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და განისაზღვროს, სულ მცირე, ახალი საავტორიზაციო ვადით.** **შენიშვნა:** არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარის განახლებული ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია **2022 წლის 22 დეკემბრიდან და მოქმედებს 10 წლის განმავლობაში.** შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებულია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, არის სამსართულიანი, მისი ფართობი შეადგენს 873 კვ. მეტრს. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას იურიდიული მისამართია, ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის N76. შენობის წინა ეზო, რომელიც ესაზღვრება გზის სავალ ნაწილს, შემოსაზღვრულია და დაცულია რკინის გისოსებიანი ღობით. შენობის გვერდით მდებარეობს მცირე ეზო, რომელიც სკოლის მიჯრით არის განთავსებული, თუმცა მუნიციპალიტეტის კუთვნილებაა. გვერდითა ეზო ნაწილობრივად არის შემოსაზღვრული, ვინაიდან დაწესებულება იყენებს ამ ტერიტორიას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მოსწავლეთა აქტივობებისთვის. ასეთი აქტივობები მხოლოდ სკოლის პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ წარიმართება. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, სასადილო, ადაპტირებული საპირფარეშო, საკლასო ოთახები. მეორე სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, სამხატვრო სტუდია, საკონფერენციო კაბინეტი, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი და კანცელარია, საკლასო ოთახები და საპირფარეშო გოგონებისთვის. მესამე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, დირექტორის მოადგილის ოთახი, სამასწავლებლო, საკლასო ოთახები და საპირფარეშო ბიჭებისთვის.
ფაქტობრივი მისამართი	**ქალაქი თბილისი, ჩარგლის ქუჩა N65**
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**01 .12. 06 .018.001**
კვ.მ.	**მიწის ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი: 398 კვ.მ. შენობის ფართობი: 873 კვ.მ**
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1. ამონაწერი სარაჯო რეესტრიდან- 27/01/2017; 2. შენობის შიდა აზომვითი ნახაზი; 3. საიჯარო ხელშეკრულება - დამოწმების თარიღი 26/01/2016, ძალაში შესვლის თარიღი 01/02/2017; 4. შეთანხმება ხელშეკრულების გაგრძელებაზე 22/08/2022; 5. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების სამივე სართულზე განთავსებულია 20 ბუნებრივი განათების მქონე საკლასო ოთახი. საკლასო ოთახები აღჭურვილია ერთ ადგილიანი მერხებით, სკამებით და დაფებით, ასევე საკლასო ოთახებში განთავსებულია სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი აღჭურვილობა, კერძოდ, მიზნობრივი თვალსაჩინოებები და მოსწავლეთა ნამუშევრები. სკოლაში არის **255** სასწავლო მერხი და სკამი. სკოლა აღჭურვილია სასწავლო მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი რესურსით და ინვენტარით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საინვენატრო წიგნი; 2. შესყიდვების დოკუმენტაცია; 3. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 59.40 კვ.მ. სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია ბურთებით, ჩოგბურთის მაგიდით და სხვა სპორტული ინვენტარით. სკოლა სპორტული აქტივობებისთვის იყენებს გვერდითა ეზოს და მუნიციპალურ სპორტულ მოედანს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას მესამე სართულზე განთავსებული აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. ლაბორატორია შეიცავს ყველა იმ დასახელების აღჭურვილობას, რაც მოცემულია სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შესახებ“ №572 ბრძანებით დამტკიცებულ სტანდარტულ საორიენტაციო პაკეტში. ლაბორატორიაში განთავსებულია კარადები, რომლებიც იკეტება და შესაბამისად მოსწავლეებისათვის ქიმიურ რეაქტივებთან თავისუფალი წვდომა შეზღუდულია, დაცულია რეაქტივების შენახვის პირობები, პერიოდულად ხდება რეაქტივების შეძენა-ლაბორატორიის შევსება. ლაბორატორიაში არ არის გამწოვი, თუმცა ლაბორატორიას აქვს ფანჯრები, რომელიც იძლევა განიავების საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ლაბორატორიის კომპლექტის შესყიდვის დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტ რეჟიმში. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. ფანჯრის ღიობის ფართი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ბუნებრივი განათებულობის დონეს. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა, რომელიც მუშაობს ბუნებრივ აირზე. საქვაბე მდებარეობს სკოლის შენობის გარეთ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საგადასახადო დავალებები; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში წიგნების საცავი და სამკითხველო დარბაზი ერთ სივრცეშია განთავსებული. წიგნების საინვენტარო ჟურნალის მიხედვით წიგნადი ფონდი შეადგენს 8969 ერთეულს. მათ შორისაა გრიფმინიჭებული სახელმძღვანელობი და საკითხავი ლიტერატურა, ასევე პერიოდიკა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მეთოდური ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის მკითხველთა ფორმულარები, წიგნები დალაგებულია ანბანური და სისტემური კატალოგის მიხედვით. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ლეპტოპი და ერთი სტაციონარული კომპიუტერი ბიბლიოთეკარისთვის, ტელევიზორი და ,,ქსეროქსის" აპარატი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტი. ბიბლიოთეკარს აქვს სამოქმედო გეგმა, ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებით სარგებლობის წესები რეგულირდება სკოლის მიერ შემუშავებული ბიბლიოთეკის დებულებით. თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები. ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული და ბეჭდური კატალოგი. წიგნები დამუშავებულია და დამოწმებულია საბიბლიოთეკო წესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბიბლიოთეკის დებულება; 2. საინვენტარო წიგნი; 3. წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 4. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარემო ადაპტირებულია, სართულებზე გადასაადგილებლად დამონტაჟებულია პანდუსები, ხოლო პირველ სართულზე არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე, თუმცა სკოლაში არსებული ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო მოსწავლის საჭიროებებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. პანდუსების შესყიდვის დოკუმენატაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. ჯამში სკოლის მფლობელობაშია 13 ერთეული სტაციონარული კომპიუტერი. მათ შორის მოსწავლეებისათვის, კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 11 კომპიუტერი. ასევე სკოლის მფლობელობაშია ერთი პროექტორი, ერთი ქსეროქსის აპარატი და ორი პრინტერი. სკოლას აქვს ვებგვერდი - www.britannica.edu.ge და ელექტრონული ფოსტა britannika.ges@gmail.com. სკოლის ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო ფუნქციას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. დომენისა და ჰოსტინგის ხელშეკრულებები; 2. კომპიუტრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ინტერნეტის მომსახურების ხელშეკრულება; 4. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების მიზნით, სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან. დაწესებულებას შემუშავებული აქვს ჯანმრთელობისა და შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უსაფრთხოების დაცვის მართვის სისტემის გეგმა, რომელშიდაც გაწერილია სახანძრო უსაფრთხოების მართვის გეგმა, პერსონალის და მოსწავლეთა ვალდებულებები და შესაბამისი ქმედებები ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში. სკოლის ყველა სართულზე საევაკუაციო გეგმის მიხედვით განთავსებულია ცეცხლმაქრები. ცეცხლმაქრები დამუხტულია. სკოლას აქვს ჯამში 10 ცეცხლმაქრი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები; 2. ცეცხლმაქრების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; 3. ხელშეკრულება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში ყველა სართულზე გამოკრულია უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამზადებული საევაკუაციო გეგმა და სახანძრო-საევაკუაციო გასასვლელების მიმართულების მანათობელი ნიშნები. სკოლას აქვს პირველ სართულზე პირდაპირ ეზოში გასასვლელი 2 კარი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საევაკუაციო გეგმები; 2. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო კაბინეტი განთავსებულია სკოლის პირველ სართულზე. მას აქვს როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური განათება და სველი წერტილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	კაბინეტი მოწყობილია კანონმდებლობის შესაბამისად, აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით და სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებით. სკოლას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. ექიმი აღრიცხავს გაცემულ მედიკამენტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება; 2. ექიმის საქმიანობის დებულება; 3. მედიკამენტების შესყიდვის დამდასტურებელი დოკუმენტაცია; 4. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები, რომელიც შეთანხმებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. განსაზღვრულია საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები. პერსონალისა და მოსწავლეების უსაფრთხოებაზე ზრუნავს მორიგე მასწავლებელი, დამრიგებელი და სკოლის ადმინისტრაცია; სკოლას ჰყავს დაცვის თანამშრომელი. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის რეგულირების წესი, რომლის მე-7 მუხლში განსაზღვრულია სასკოლო აქტივობების უსაფრთხოდ განხორციელებისა და მოსწავლეთა გადაადგილების პირობები, სკოლის გვერდითა ეზოს და სკოლის მიმდებარედ არსებული მუნიციპალური სპორტული მოედნით სარგებლობის მიზნით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესები და პირობები; 2. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული ხელშეკრულება; 3. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი; 4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის გარე პერიმეტრი, ეზო, შენობაში შესასვლელი ყველა კარი სრულად კონტროლდება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. ასევე სრულად კონტროლდება სკოლის სამივე სართულის დერეფანი. სკოლის გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ოთხი ვიდეოთვალი, მათ შორის ორი სათადარიგო გასასვლელში. კამერები შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთნ. სკოლის ვიდეოთვალის სისტემის აღჭურვის ადმინისტრირების, პერსონალურ მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და შენახვისა და გამოყენების წესები გაწერილია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და პირობების დოკუმენტში. ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებს მიეცათ რჩევა კიბის უჯრედებისა და სკოლის შენობის უკანა მხარის უკეთ გაკონტროლების მიზნით, დამატებითი კამერების დამონტაჟებასთან დაკავშირებით. ვიზიტის მიმდინარეობისას, დაწესებულების მიერ შეძენილი და დამონტაჟებული იქნა კამერები კიბის უჯრედში და სკოლის შენობის უკანა ნაწილში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. კამერების შესყიდვისა და ფლობის დოკუმენტაცია; 2. ვიზუალური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, დებულება და საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები (პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, ბიბლიოთეკის დებულება, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა, საქმისწარმოების წესი, სასკოლო ლაბორატორიებით სარგებლობის წესი და სხვა). სკოლის დებულება აწესრიგებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობას, სკოლის მართვის პრინციპებსა და წესებს. განსაზღვრავს სკოლის სტრუქტურას, სტრუქტურული და საშტატო ერთეულების ფუნქციებს. სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და შრომითი ურთიერთობის წარმოშობა და პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, მოსწავლეების და დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, მატერიალური პასუხისმგებლობა, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, ჩაცმულობის წესი და გარეგნული სახე, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები, განცხადების/საჩივრის განხილვა. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ პირებზე, მოსწავლეებზე და მათი მშობლებზე/კანონიერ წარმომადგენლებზე, ასევე სკოლის ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერი პირზე და სავალდებულოა შესასრულებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის წესდება; 2. სკოლის შინაგანაწესი; 3. საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი და ერთწლიანი სკოლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული გეგმა გამოდინარეობს სკოლის მისიიდან და განსაზღვრავს სკოლის გრძელვადიან მიზნებს და ამოცანებს. სკოლის მიერ განსაზღვრულია აღნიშნული მიზნების და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმეგებლი პირები და შესრულების ვადები. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აქცენტი გაკეთებულია: ძლიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შექმნაზე, ზოგადი განათლების სფეროს განვითარებაზე, ჯანსაღი, უსაფრთხო და პოზიტიური სასწავლო გარემოს შექმნაზე. თანამშრომლობაზე და სასწავლო რესურსების მობილიზებაზე. სკოლის გრძელვადიანი მიზნებია: 1. სკოლის მართვის სიტემის გაუმჯობესება; 2. მატერიალური ტექნიკური ბაზის გაუჯობესება - ეზოს კეთილმოწყობა, საკუთარი შენობის შეძენა, ფართის გაზრდა - მოსწავლეთა გაზრდილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად სპორტული ღია მოედნის არსებობა სკოლის საკუთრებაში და საზაფხულო ბანაკის მოწყობა 3. ხარისხის უზრუნველყოფა - სასწავლო პროცესის მონიტორინგი, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით სასწავლო პროცესის გზების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა.კლასგარეშე ღონისძიებების ეფექტიანობის განსაზღვრა, დაგეგმვა და განხორციელება; 4. საკადრო პოტენციალის გაზრდა -გამოცდილი, პროფესიონალი და მოტივირებული თანამშრომელების მოზიდვა; 5. მოტივაციის ამაღლების და წახალისების სიტემა - წარმატებაზე და მუდმივ განვითარებაზე ფიქრი, მოსწავლეთა და მასწავლებელთა, ასევე მმართველი გუნდის (დირექცია–ადმინისტრაცია) სათანადო მოტივაციისა და წახალისების ეფექტიანი და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ბმაში, სკოლას შემუშავებული აქვს ერთწლიანი (2022-2023 წწ) სამოქმედო გეგმა, რომლის პრიორიტეტებიცაა: ავტორიზაციის მიღება, ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, სასწავლო პროცესის განვითრება და საერთშორისო საგანმანათლებლო სისტემაში ინტეგრირება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ქართულ -ინგლისური სკოლა ბრიტანიკის მიერ დამტკიცებული სტრატეგიული გეგმა - ბრძანება N68/1-16/09/2021; 2. სკოლის სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორეპონდენციის აღრიცხვა საქმისწარმიების წესის მიხედვით. სკოლაში აღირიცხება/იწარმოება: • შემოსული კორესპონდენცია; • გასული კორესპონდენცია; • შრომითი ხელშეკრულები; • სკოლის დირექტორის ბრძანებები; • მოსწავლეთა მობილობის შესახებ ბრძანებები; დოკუმენტაციის არღიცხვის მიზნით სკოლაში მოქმედებს: • შემოსული კორესპონდენციის რეგისტრაციის ჟურნალი; • გასული კორესპონდენციის რეგისტრაციისჟურნალი; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• სკოლის დირექტორის ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი (საკადრო და საერთო); • მოსწავლეთა სტატუსთან დაკავშირებული (მობილობა, შეწყვეტა, შეჩერება) შესახებ ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალი ყველა ჟურნალი აკინძულია, გვერდები დანომრილია და ბეჭედდასმულია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საქმის წარმოების წესი; 2. სარეგისტრაციო ჟურნალები; 3. ვიზულური დათვალიერება;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	**ქვესატნდარტი 2.1** მიუხედავად იმისა, რომ იჯარის ხელშეკრულების 21-ე მუხლში ჩადებულია უძრავი ქონების განუსაზღვრელი ვადით სარგებლობის პირობა (იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე სარგებლობს იჯარის საგნით იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ და მეიჯარე არ მოითხოვს იჯარის შეწყვეტას), **ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს მისცეს რჩევა, მეტი სიცხადისთვის, იჯარის ხელშეკრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით გაფორმებულ შეთანხმებაში დაკონკრეტდეს იჯარის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდი და განისაზღვროს, სულ მცირე, ახალი საავტორიზაციო ვადით.** **შენიშვნა:** არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, დაწესებულებამ წარმოადგინა იჯარის განახლებული ხელშეკრულება, რომელიც ძალაშია **2022 წლის 22 დეკემბრიდან და მოქმედებს 10 წლის განმავლობაში.**
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისურ სკოლა ბრიტანიკას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლის პერსონალი შემდეგნაირად არის დაკომპლექტებული: სკოლის დირექცია: დირექტორი; დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში / ხარისხის მართვის მენეჯერი (ერთი და იგივე პირი); ბუღალტერი. სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი: ადმინისტრაციულ-საკანცელარიო საქმეთა მენეჯერი; ფსიქოლოგი; ექიმი; ბიბლიოთეკარი; იურისტი. სკოლის ტექნიკური პერსონალი: დაცვის თანამშრომელი, დიასახლისი (2). სკოლას ჰყავს 36 მასწავლებელი (როგორც ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების, ასევე დამატებით საგანმანათლებლო მომსახურების პედაგოგები) და 2 დამხმარე მასწავლებელი განხანგრძლივებული სწავლების სერვისის განსახორციელებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას საშტატო განრიგი; 2. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას სკოლის დებულება; 3. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool; 4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	**36**
მოწვეული/მაძიებელი	**3 მოწვეული / 3 მაძიებელი**
პრაქტიკოსი მასწავლებლი	**0**
უფროსი მასწავლებლი	**26**
წამყვანი მასწავლებლი	**0**
მენტორის სტატუსი	**0**

შენიშვნა: სკოლაში დასაქმებულია ორი მასწავლებელი სტატუსის გარეშე, შესაბამისი ხელშეკრულებით და 2 მასწავლებელი დამატებითი სავალდებულო საგნის განსახორციელებლად.

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრტინიკას სკოლის პედაგოგები შერჩეულნი არიან კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრული წესის შესაბამისად. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს კონკურსების ჩატარების დოკუმენტაცია, დირექტორის შესაბამისი ბრძანებებითა და საკონკურსო ოქმებით. დაწესებულებაში დასაქმებულია 36 მასწავლებელი, მათგან 26 უფროსი, 3 მოწვეული, და 3 მაძიებლობის სტატუსის მქონე პედაგოგი. 2 მასწავლებელთან, რომლებსაც არ აქვთ სტატუსი, შესაბამისი გამოცდილებისა და განათლების საფუძველზე, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, რის მიხედვითაც აღნიშნულ პედაგოგებს ორი წლის ვადაში ევალებათ საგნობრივი კომპეტენციის დადასტურება. 2 პედაგოგი არის დამატებითი სავალდებულო საგნის მასწავლებელი (ცეკვა და იაპონური ენა). აღსანიშნავია, რომ უფროსი სტატუსის მქონე ორმა მასწავლებელმა 2022 წლის ზაფხულის საგამოცდო სესიებზე დააგროვა წამყვანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მასწავლებლის სტატუსის ქულები და გეგმავს შესაბამისი აქტივობების განხორციელებას სტატუსის ასამაღლებლად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ქართულ-ინგლისური სკოლა ბრიტანიკას საშტატო განრიგი; 2. მასწავლებელთა პირადი საქმეები; 3. ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც არეგულირებს კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. დოკუმენტში აღწერილია კონკურსის გამოცხადების წესები და პროცედურები, მათ შორის - მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, კონკურსის შედეგები და სხვა. სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა. სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ბრძანებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის შინაგანაწესი; 2. ვაკანტური ადგილის დასაკავაებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი; 3. ვაკანსიის ოქმები; 4. ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნაზე; 5. ბრძანება კონკურსის ვადებისა და პირობების განსაზღვრაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	6. ბრძანება პრემიის გაცემაზე.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად. ხელშეკრულებებში დაზუსტებულია მასწავლებელთა სტატუსები და ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი. შრომითი ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტრაციო ჟურნალში. თითოეულ თანამშრომელზე გახსნილია პირადი საქმე, რომელშიც განთავსებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შრომითი ხელშეკრულებები; 2. თანამშრომლის პირადი სააქმეები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, დებულებაში განსაზღვრულია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის და განვითარების პოლიტიკა. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტებით. ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დებულების შესაბამისად მიმდინარეობს მასწავლებლების მუშაობის მონიტორინგი და ხდება მათი საჭიროებების იდენტიფიცირება. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლას დაგეგმილი და განხორციელებული აქვს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებები. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე, დირექტორთან შეთანხმებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხრდამჭერი ჯგუფის დებულება; 2. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების ხეშეწყობის მექანიზმები; 3. მასწავლებლების სამოქმედო გეგმები; 4. კათედრის პორტფოლიოები; 5. ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სეტიფიკატები/ცნობები; 6. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის ოქმები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის დირექცია ხელს უწყობს დაწესებულებაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბებას და განვითარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლის მასწავლებლებში არის ერთსულოვნებისა და გუნდურობის განცდა. დირექცია კეთილგანწყობილია მოსწავლეებისადმი, მასწავლებლებისა და მშობლებისადმი. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა სკოლის ბიბლიოთეკაში, კომპიუტერულ ლაბორატორიაში, საკონფერენციო ოთახსა და დირექტორის მოადგილის კაბინეტში მოაწყონ შეხვედრები, იმუშაონ პროექტებზე და განახორციელონ არაფორმალური განათლების აქტივობები. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება სკოლაში, არასაგაკვეთილო დროს, იმუშაონ დამოუკიდებლად ან გუნდურად და განახორციელონ სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო აქტივობები. ამ მხრივ, სკოლის გარემო ხელს უწყობს მოსწავლეთა შესაძლებლობების გამოვლენას. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობენ სასკოლო სასწავლო გეგმაზე და სასწავლო რესურსების შექმნაზე. მასწავლებლებთან ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ობიექტურად აფასებენ საკუთარ გამოწვევებს და მათთან გამკლავების ეფექტიან გზად ურთიერთთანამშრომლობას მიიჩნევენ. სასკოლო ცხოვრებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მოსწავლე, მშობელი და მასწავლებელი. საგანმანათლებლო დაწესებულება ატარებს პრევენციულ ღონისძიებებს, სკოლაში მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების წინააღმდეგ. სკოლის დირექცია და მასწავლებლები მუდმივად ხელს უწყობენ მოსწავლეთა წახალისებას და მათ ჩართვას სასკოლო და სხვა ტიპის პროექტებსა და ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ინტერვიურება სასკოლო საზოგადოებასთან; 2. განხორცილებებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია; 3. სკოლის მიერ შემუშავებული კითხვარები; 4. SWOT ანალიზი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი 29 დეკემბერი, 2022

(შევსების ადგილი) თარიღი

გვერდების რაოდენობა 48

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.